ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 7626/01
01/08/2019

7626-01-2-201908011532

შპს „ენკა რინიუებლზს“

მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-5 სართული, ბლოკი I, საოფისე ფართი N29

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 13 ივნისის N8577 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება “ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ პროექტის სკოპინგის ანგარიშს. წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით შპს „ენკა რინიუებლზი“ გეგმავს მდ. რიონზე, “ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტში ცვლილებების განხორციელებას.

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, 2015 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს მიერ ს.ს ნამახვანზე მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ტვიში ჰესი - 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გაიცა N73 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2015 წლის გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ კომპანიის მიერ დეტალური პროექტის დამუშავების პროცესში განხორციელდება წყალსაცავის ქვაბულში არსებული კარსტულ-სუფოზიური პროცესების და მათი გამოვლინების - კარსტულ მღვიმეების შესწავლა რის საფუძველზეც დაიგეგმებოდა შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული საკითხების შესწავლის ვალდებულება კომპანიას ასევე განესაზღვრა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით.

ს.ს ,,ნამახვანის“ მიერ 2017 წელს წარმოდგენილ იქნა კარსტების კვლევის შესახებ ინფორმაცია რასთან დაკავშირებითაც სამინისტროს მიერ კომპანიას დაევალა ინფორმაციის წარმოდგენა როგორც ტვიში ჰესის ასევე ნამახვანი-ჟონეთის ჰესის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შესახებ.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ნამახვანი-ჟონეთის (ქვემო ნამახვანის) ტერიტორიაზე კარსტული მღვიმეების კვლევის შესახებ. იმისათვის, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდეს საჯარო განხილვის ჩანიშვნა და საზოგადოებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, გთხოვთ შესაძლოდ მოკლე ვადაში უზრუნველყოთ, აღნიშნული საკითხის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე